

სამარცხენო თბოზიციისგან იმის მტკიცება, რომ „ოცნების“ ხელი-სუფლების პირობებში ხალხისთვის ბევრი არაფერი გაკეთებულა, რასაკვირველია, უსინდისობა და უმადურობაა! მაგრამ ისიც აშკარაა, რომ უბრალო მშრომელმა ადამიანმა მთელი ამ შვიდი წლის მანძილზე თითქმის ვერ იგრძნო ვერაფერი მატერიალური შეგება. კარგია, რომ ქვეყანაში ახალი საკონცერტო დარბაზები და ახალი უნივერსიტეტები შენდება, მაგრამ ხალხი მთელი ამ ხნის განმავლობაში უწინარესად ახალი საწარმოების, თუნდაც მცირე ფაბრიკებისა და

ქარხნების აშენების მოლოდინშია, რათა უმუშევარი მართო მწირი სოციალური დახმარებისა და ასევე მწირი პენსიის ამარა არ იყოს. სახელმწიფო, რომელსაც კმაყოფილი არ ჰყავს ხალხი, მოსახლეობა და მხოლოდ დაპირებების „ერბოკვერცხს“ უწევს, აუცილებლად შეირყევას!!!  
მაღლივი, ძვირფასი მშენებლობების ფონზე თუ ცხოვრების დონე ყოველდღიურად დაბლა იწევს, ქვეყნის აუტანელ სიღარიბეს ასე ვერა და ვერ დავაღწევთ თავს!

# საქართველო

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობინ ბუქე-უბი სიფყავა, ფყიულებით და ჭიბრით ბუბ-თის გაფანა ყველა უჯანდისობაჲ უსამაგლუნია.

ხუთშაბათი, 19 სექტემბერი. 2019 წ. №185 (8851) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

## ირაკლი გურიანი:

### სახელმწიფოს მეთაური რომ ვიყო, აკრძალავდი კაზინოებში ქართვლების შეშვებას!!!



„სანამ საქართველოს მოქალაქეებისთვის ტოტალიტარობა და კაზინოები არ დაიკაზმება, ჭკუანაში აკონოიკური აღმავლობა არ იქნება“



### ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ალბილი, სადაც ნიჭი და შესაძლებლობები რეალიზდება

ჩვენნაირი ქვეყნისთვის სწორედ განათლება წარმოადგენს იმ მთავარ რესურსს, რომელსაც განვითარების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს, - ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაშია აღნიშნული, რომელიც პარტიის ფილისტრუქტურულზე განთავსდა.

„საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ძალიან კარგად იცის, რომ განათლება ისევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც ჰაერი და წყალი. მხოლოდ განათლებას ის იარაღი, რითაც ჩვენი ახალგაზრდობა შეძლებს, დიდების დღეები აღუდგინოს ჩვენს სამშობლოს. ჩვენნაირი ქვეყნისთვის სწორედ განათლება წარმოადგენს იმ მთავარ რესურსს, რომელსაც განვითარების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს. ჯერ კიდევ 11 წლის წინათ მე და ჩემმა ოჯახმა დავიწყეთ ფიქრი და ოცნება, საქართველოში შეგვექმნა თანამედროვე და მძლავრი ტექნოლოგიური საგანმანათლებლო კერა, რომელიც გარღვევას მოახდენდა ქართულ სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში.“

მელსაც განვითარების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს. ჯერ კიდევ 11 წლის წინათ მე და ჩემმა ოჯახმა დავიწყეთ ფიქრი და ოცნება, საქართველოში შეგვექმნა თანამედროვე და მძლავრი ტექნოლოგიური საგანმანათლებლო კერა, რომელიც გარღვევას მოახდენდა ქართულ სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში.“

№. 2 გვ.

## ნიკოლოზ ჩხეტიანი:

### შეუძლებელია, გააღვიძო ის, ვისაც არ სძინავს!

პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, იქნება პრეცედენტი - ფუნდებდა ახალი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩემი აზრით, ეს ისტორიული მოვლენაა, - ამის შესახებ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელმა, ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა განაცხადა ფონდი „ქართუსა“ და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ახალი საგანმანათლებლო სივრცის პრეზენტაციაზე

სიტყვით გამოსვლისას.

„პირველივე დღიდან ჩვენი ოპონენტები გვსაყვედურობდნენ, რომ სამშენებლო მოედანზე არაფერი ხდებოდა. ჩვენ მრავალჯერ ვცადეთ, აგვეხსნა მათთვის, რომ უნივერსიტეტის დაფუძნება ძალზე კომპლექსური საქმეა და მას სწორი დაგეგმვა და ძალიან კარგი მომზადება ესაჭიროება. თუმცა ამოვად, ტყუილად არ არის ნათქვამი - შეუძლებელია გააღვიძო ის, ვისაც არ სძინავს.“



№. 2 გვ.

## სალომე ზურაბიშვილია უწყალებაზე მოკატორიუმი გამოაცხადა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მსჯავრდებულთა შეწყალებაზე მორატორიუმს აცხადებს.



„როგორც პრეზიდენტი, მე ვაცხადებ მორატორიუმს შეწყალებაზე. მერე ვნახოთ, როგორ იქნება, წესები როგორ იქნება და როგორ იქნება შეწყალება, ამის მიხედვით განისაზღვრება. იყო ბევრი სპეკულაცია სხვადასხვა ადამიანის ჩარევაზე, მათ შორის ჩემს საპარლამენტო მდივანზე, მაგრამ ეს არ არის მისი კომპეტენცია და არ შეიძლება, ის ჩარეული ყოფილიყო. მე მივიღე გადაწყვეტილება და არ მჩვევია, ვინმე სხვაზე გადავიტანო პასუხისმგებლობა“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილი.

## მხოლოდ მე პარ პასუხისმგებელი...

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ გამოირიცხავს, რომ შეწყალების პროცესში შეცდომა იყო დაშვებული...

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, შეწყალება არ არის ვინმეს გამართლება, არც რომელიმე სასამართლოს რევიზია, ეს არის პრეზიდენტის სუბიექტური და პერსონალური გადაწყვეტილება.

„ჩავთვალე, რომ საჭიროა, კიდევ ერთხელ თქვენი მეშვეობით მივმართო საზოგადოებას, რადგან მესმის მისი წუხილი და ეს ჩემი წუხილიც არის, როცა საზოგადოება შფოთავს რომელიმე ჩემს გადაწყვეტილებებზე. მინდა, ვთქვა, რომ შეწყალება არ არის ის, რაც ზოგს ჰგონია, ეს არ არის ვინმეს გამართლება, არც რევიზია რომელიმე სასამართლოსი, რაღაც მეოთხე ძალაუფლება, რომელსაც აქვს სასამართლოზე ზემოთ რამე გამოცდილება, ეს არის პრეზიდენტის სუბიექტური და პერსონალური გადაწყვეტილება მისი პასუხისმგებლობის ქვეშ. ეს არის შეფასება გარემოებების, მოცემულობისა და შეფასება იმ ადამიანის მიერ, რომელიც არის ამავ დროს პრეზიდენტი, რომელიც არც გამოირიცხავს შეცდომას და არც გამოირიცხავს, რომ სხვას ჰქონდეს სხვა შეფასება იმ გარემოებებზე“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილი.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მისი საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია არანაირად არ იყო ჩართული შეწყალების პროცესში.

„მინდა, ვთქვა, რომ ძალიან ბევრი სპეკულაცია იყო სხვადასხვა ადამიანის ჩარევაზე შეწყალების გადაწყვეტილებებში. მათ შორის ჩემს საპარლამენტო მდივანზე, რომელიც არც კომპეტენციით და არც არანაირად, არ იყო ამ პროცესში ჩართული. მისგან არ მიმიღია რჩევა. არ არის მისი კომპეტენცია და არ შეიძლება, რომ გარეული იყოს, მით უმეტეს, როცა ეს ეხება ყოფილ ადვოკატს. ასე რომ, ეს გამოირიცხულია და მასზე, თუ ვინმე სხვაზე ჩემს ადმინისტრაციაში სპეკულაციები უთუოდ უნდა დამთავრდეს, რამეთუ მე მივიღე გადაწყვეტილება, მე ვარ პასუხისმგებელი და არ მჩვევია, ვინმე სხვაზე გადავიტანო ეს პასუხისმგებლობა“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილი.

№. 2 გვ.





**საქართველოს პრეზიდენტი** სალომე ზურაბიშვილის აცხადებს, რომ მედიაში მასთან დაკავშირებული აქტივობები უცხოეთში მის წარმატებულ ვიზიტებს ემთხვევა. როგორც ზურაბიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, ეს ქვეყანას აზარალებს. „ამ შემთხვევაში საზოგადოების წუხილი მანუხებს. მედიააქტივობა, რაც ხდება რეგულარულად ჩემ რომელიმე უცხოეთში წასვლის წინ, დაბრუნებისას ან წარმატებული ვიზიტის დროს, არის ქვეყნისთვის ძალი-

## შენწყალბების წესები პარლამენტში სამუშაო ჯგუფმა უნდა მოაწოდოს!

წესები, რომელიც შეწყალბებას ეხება, უნდა გადაიხედოს და შემუშავდეს პარლამენტში სამუშაო ჯგუფის მიერ, — ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. ამასთან, სალომე ზურაბიშვილმა მსჯავრდებულთა შეწყალბებაზე მორატორიუმი გამოაცხადა. „ადრეც ვთქვი, რომ ინიციატივით გამოვდიოდი, წესები, რომელიც შეწყალბებას ეხება, გადაიხედოს და შემუშავდეს პარლამენტში სამუშაო ჯგუფის მიერ. ამაზე

კონსულტაციები პარლამენტის თავმჯდომარესთან უკვე შედგა. იანვრიდან ვამზადდებით ახალ წესებს და ჩვენი ვერსია გადაეცემა პარლამენტის თავმჯდომარეს. ალბათ მომავალი კვირიდან შედგება ის სამუშაო ჯგუფი, სადაც ყველა პარტია შევა და ჩამოაყალიბებენ, როგორი უნდა იყოს ის იდეალური წესები, რომ აღარ მოხდეს საზოგადოების შემფოთება. გამომდინარე ამ ვითარებიდან, ვაცხადებ მორატორიუმს შეწყალბებაზე“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## რატომ ემთხვევა მედიაში პრეზიდენტთან დაკავშირებული აქტივობა უცხოეთში წარმატებულ ვიზიტებს?!

ან დამაზარალებელი. ასლა მივდივარ სწორედ გაეროში გენერალურ ასამბლეაზე, სადაც უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები. იმედი მაქვს, რომ ძალიან წარმატებული ვიზიტი იქნება, არა ჩემთვის, არამედ ქვეყნისთვის. უნდა შევიგნოთ, რომ როცა მე ვარ უცხოეთში, ვარ საქართველოს წარმომადგენელი და საქართველოს-

ვის კეთდება საქმე. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ მე არ ვარ ჩვეული არც კონსპირაციულ თეორიებს და არც კონსპირაციებს.

ჩუმად არავის შევხვდები ნიუ-იორკში, თუ ვინმეს შევხვდები, ყველას გეცოდინებათ“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

## გიორგი გახარია: ჩემთვის სრულიად მიუღებელია საერთოდ, მკვლელის შეწყალბა

შენწყალბება არის პრეზიდენტის დისკრეცია, თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, პოლიციელის მკვლელის და საერთოდ, მკვლელის შეწყალბა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ტრამა გიორგი გახარია მუხრანის ტყეებთან განაცხადა. გიორგი გახარია საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ შეწყალბებაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ განაცხადებსაც გამოეხმაურა.

„პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ შეწყალბება არის პრეზიდენტის დისკრეცია, თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია პოლიციელის მკვლელის და საერთოდ, მკვლელის შეწყალბა. რა თქმა უნდა, აქ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, რაც დასტურდება იმ ნაბიჯით, რომელიც პრეზიდენტმა გადაადგა, გამოაცხადა მორატორიუმი. ეს უნდა იყოს საერთო მსჯელობის საგანი პარლამენტთან ერთად და რა თქმა უნდა, რაღაც ფილტრები უნდა გაჩნდეს, რათა მძიმე დანაშაულში, განსაკუთრებით მკვლელობაში დამნაშავე ადამიანები ასეთი ფორმით არ იყვნენ შეწყალბებული“, — განაცხადა გიორგი გახარია.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა დღეს მსჯავრდებულთა შეწყალბებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, როგორც მან აღნიშნა, წესები, რომელიც შეწყალბებას ეხება, უნდა გადაიხედოს და შემუშავდეს პარლამენტში სამუშაო ჯგუფის მიერ.



შენწყალბების სამართლიანი სისტემის შექმნა არის ძალიან მარტივი, თუ ამ სისტემაში ჩავრთავთ პროფესიონალებს, ვისაც შეუძლია, შეაფასოს ესა თუ ის პატიმარი არის რესოციალიზებული, რეაბილიტირებული და შეიძლება თუ არა მისი გაშვება გარეთ.

მისი თქმით, მაგალითად გლდანის ციხეში, სადაც პატიმრები 10 და მეტი წელია, არიან, თავიანთ ცხოვრებითა და შრომით აჩვენებენ, რომ რესოციალიზაციის უნარი შეიძინეს.

„გლდანში, მაგალითად ამ ტერიტორიაზე, სადაც მულჩაუხრელად შრომობენ პატიმრები, უმრავლესობა 10-16-18 წელია, გლდანის საპატიმროშია, მანამდე სხვა საპატიმროებში იყვნენ. ისინი არიან ადამიანები, ვისაც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები აქვთ ჩადენილი, მაგრამ თავიანთი ცხოვრებითა და შრომით აჩვენებენ, რომ რესოციალიზაციის უნარი აქვთ. ესეც არ არის საკ-

## თქა წულუკიანი: პრეზიდენტმა შეწყალბაზე უნდა მიიღოს დამოუკიდებელი, მაგრამ ინფორმირებული გადაწყვეტილება

მარისი იმისთვის, ითქვას, რომ ეს პატიმრები დღესვე უნდა იყვნენ შეწყალბებული. აუცილებელია, ფსიქოლოგმა, რეაბილიტაციის სპეციალისტმა, სოციალურმა მუშაკმა შეაფასოს და უთხრას პრეზიდენტს, შეიძლება თუ არა ასეთი ადამიანის შეწყალბება და არსებობს თუ არა რისკები. დღეს რისკების შეფასება არ ხდება“, — განაცხადა წულუკიანმა.

ამასთან, იუსტიციის მინისტრის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია დაზარალებულის აზრი.

„ჩვენ მაგალითად აქ ყანაში, ბოსტანში, მდელოზე მომუშავე პატიმრები გვყავს, რომლებიც ყველა მხრივ იმსახურებენ, საკანონი 16-17 წლის ყოფნის შემდეგ გარეთ გავიდნენ, მაგრამ დაზარალებული ბოლომდე არ არის თანახმა. ამიტომ ჩვენ დაზარალებულის აზრს ვითვალისწინებთ. ამგვარი მიდგომა შეწყალბების სისტემაში ფაქტობრივად არ არსებობს.

პენიტენციურ სისტემაში არსებული გამოცდილება შეიძლება, პრეზიდენტის ადმინისტრაც-

ციამ გაიზიაროს, რადგან ეს სისტემა ჩვენთან უკვე არსებობს და ასევე, ამ სისტემას თავისი მხრიდან შესძინოს ახალი შტრიხები, რათა როდესაც პატიმარი გარეთ გავა, პირველი — დაზარალებული არ იყოს უკმაყოფილო, მას არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა, მეორე — საზოგადოებისთვის არ იყოს ამგვარი შეწყალბება მიუღებელი და მესამე — ჩვენს საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს სიმშვიდის განცდა და არ ვიყოთ საფრთხის ქვეშ“, — თქვა იუსტიციის მინისტრმა.

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ ძებნილი მსჯავრდებულის შეწყალბებას, წულუკიანის თქმით, აღნიშნული პატიმარი სისტემაში არც ახლა და არც წინა ხელისუფლების დროს არ ყოფილა, ის 2009 წლიდან იძებნება.

„როდესაც ჩვენ მივიღეთ შეწყალბების აქტი, სადაც ვენერა, რომ გათავისუფლდეს ესა თუ ის პატიმარი, ეს პატიმარი ჩვენს სისტემაში არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ პირობებში, არამედ წი-

ნა ხელისუფლების დროსაც არ ყოფილა, 2009 წლიდან არის ძებნილი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ არანაირი კონტაქტი სამწუხაროდ მარიამობის შეწყალბებაზე იუსტიციის სამინისტროსთან არ ყოფილა. ესეც, რა თქმა უნდა, იქნება ძალიან ფრთხილად გასასწორებელი, რადგან პენიტენციური სისტემა და იუსტიციის სამინისტრო და მთავრობა ვერ ჩაანაცვლებს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. პრეზიდენტი არის პრეზიდენტი, თავისი უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ უნდა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, ისთვისაც საჭიროა სისტემის ახლებურად აწყობა, რაც სულ არ არის რამე მძიმე ან კომპლექსური სამუშაო. საჭიროა ამას თავად პრეზიდენტი ჩაუდგეს სათავეში“, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, იუსტიციის სამინისტრო ყოველთვის აცხადებდა, რომ მზად არის, პრეზიდენტს რჩევითა და ინფორმაციებით დაეხმაროს.

## ვანო ზარდიაშვილი: მინდა, მჯეროდეს, რომ პრეზიდენტს „გაუჩაღიჩა“...

საქართველოში შეწყალბების ფაქტებმა ყველა პრეზიდენტის პირობებში ძალიან მახინჯი პრაქტიკა მიიღო, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ვანო ზარდიაშვილმა განუცხადა.

„ჩვენ გვახსოვს სააკაშვილისა და მარგველაშვილის შეწყალბებები. ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, მათ შორის „ოცნების“ გუნდის წევრისთვის, მიუღებელია პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებული ადამიანის შეწყალბება. არსებობს კითხვები და ჩემი აზრით, თუ ეს

ქალბატონ სალომეს ვილაცამ მოუწყო და „გაუჩაღიჩა“, მაშინ მან უნდა გააკეთოს განმარტება, ვინ იყო ეს პირი ან რას ეფუძნებოდა ეს შეწყალბებები. ეს საკითხი მთლიანად ნეგატიურია, ერთადერთი პოზიტივი ის აქვს, რომ ყველა ერთად, ოპოზიციაც და პოზიციაც, პრეზიდენტის ადმინისტრაციაც მზადყოფნას გამოხატავენ, რომ დავინყოთ საკანონმდებლო რეგულაციებზე მუშაობა, რომ პრეზიდენტების სასიათზე არ ვიყოთ დამოკიდებული. მინდა, მჯეროდეს, რომ პრეზიდენტს „გაუჩაღიჩეს“, — განაცხადა ზარდიაშვილმა.



# ახლებური სისტემის აწყობას თავად პრეზიდენტი უნდა ჩაუდგეს სათავეში










# ხუჯაბის მონასტერს სომხები ირეპებენ...



## ტერიტორიების მორიგი დავა მეზობელ სახელმწიფოსთან - საზღვრის მონაკვეთი, სადაც ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი გადაარეკვს, შესაძლოა, სომხეთს გადაეხვას

სიამ უკვე შეთანხმდა საზღვრის 160 კილომეტრი, ანუ დაახლოებით 71 პროცენტი, ახლა მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილ მონაკვეთზე, ეს არის საზღვრის 65 კილომეტრი. სწორედ ამ შესთანხმებულ ნაწილში მდებარეობს ხუჯაბის მონასტერი. როდის დამთავრდება სადელიმიტაციო სამუშაოები, წინასწარ განსაზღვრული არ არის და ეს დამოკიდებულია იმაზე, როდის და როგორ შევძლებთ, მხარეები შეთანხმების მიღწევას. შესაბამისად, ვიდრე არ არის დასრულებული საზღვრის დელიმიტაციის პროცესი, რა თქმა უნდა, საუბარი იმაზე, თუ რომელ მხარეს იქნება კონკრეტული ისტორიული ძეგლი, ნაადრევია. ნამდვილად გეუბნებით, რომ სომხეთის რესპუბლიკასთან საქართველოს საზღვრის დელიმიტაციის პროცესი ჯერ არ დაუსრულებია. ჩვენ არ ვიცით, საზოგადოებას ვინ კვებავს ამ ინფორმაციით, რადგან ის ინფორმაცია, რაც საზოგადოებას მიეწოდება, რომ ეს პროცესი დასრულებულია, მცდარია. საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთი ნიშნავს იმას, რომ ამ მონაკვეთზე შეთანხმება არ არსებობს და

მუშაობა მიმდინარეობს სომხეთის მხარესთან იმაზე, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმება. პროცესებზე და შიგნით რა მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ამაზე საჯარო კომენტარები გაკეთება არ არის მიზანშეწონილი,“ - აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.  
როგორც სააგენტო „კავკაზ პლუსი“ წერს, 1987 წლის მდგომარეობით ხუჯაბის მონასტერი იყო საქართველოს სსრ-ს ტერიტორიაზე. თუმცა, სომხები თვითნებურად გადაადგილდებოდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დაახლოებით 400 მეტრით ჩრდილოეთით და მონასტერი „გამოცხადდა“, „სომხურად“. აქ არც ქართველ მომლოცველებს, არც რესტავრატორებს არ უშვებენ. ისევე როგორც ათობით სხვა ქართულ ეკლესიასა და მონასტერში, რომლებიც სომხეთის სსრ-ს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, ახლა ამ ტერიტორიაზე, სადაც სომხები მოსახლეობა იყო ჩამოსული, არც ერთი ქართველი და არც ერთი აზერბაიჯანელი არ ცხოვრობს.

მარიამ მორგოზია

**სომხეთის მხარესთან, მოლაპარაკებებში ჩართულია ქართული მხრიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა - მიხეილ დონდუა, მალხაზ მიქელაძე, ივერი მელაშვილი, ლევან წურნუშია, თამარ ჩაჩიბაია.** ასევე საზღვრის მდგენელ კომისიაში შედის იუსტიციის, ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობა.  
„კომერსანტმა“ ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გადაამოწმა. უწყებაში აცხადებენ, რომ სომხეთთან საზღვრის დელიმიტარიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. საზღვრის ის ნაწილი, სადაც ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, ჯერ კიდევ შეუთანხმებელია.  
„სამთავრობო სადელიმიტაციო კომი-

სომხეთის მხარესთან, მოლაპარაკებებში ჩართულია ქართული მხრიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა - მიხეილ დონდუა, მალხაზ მიქელაძე, ივერი მელაშვილი, ლევან წურნუშია, თამარ ჩაჩიბაია. ასევე საზღვრის მდგენელ კომისიაში შედის იუსტიციის, ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობა.  
„კომერსანტმა“ ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გადაამოწმა. უწყებაში აცხადებენ, რომ სომხეთთან საზღვრის დელიმიტარიზაციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. საზღვრის ის ნაწილი, სადაც ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს, ჯერ კიდევ შეუთანხმებელია.  
„სამთავრობო სადელიმიტაციო კომი-

## „ცხინვალელი“ ავტომფლობელები „კანონს“ აპროტესტებენ

ოსი ავტომფლობელები, რომლებსაც ავტომობილები ჰყავთ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ნომრებით, უკვე რამდენიმე დღეა, რუსეთში ავტომობილების დროებით შემოყვანის ახალ წესებს აპროტესტებენ. რამდენიმე აქცია უკვე ჩატარდა სასაზღვრო პუნქტ ზარამაგთან და ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს ოფისთან.  
რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალიარების შემდეგ, ჩრდილოეთ ოსებმა მოიფრეს ქვეყანაში მოქმედი ავტომობილების განბაჟების უკიდურესად მაღალი განაკვეთის თავიდან არიდების სქემა - კერძოდ, ისინი იღებენ „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეობას, აფორმებენ თავიანთ ავტომობილებად, როგორც „სამხრეთ ოსეთის“ და მშვიდად გადაადგილდებიან რუსეთში დროებით ნებართვის საფუძველზე.  
ამ სქემის ერთადერთი მცირე უხერხულობა ისაა, რომ საჭიროა, ნ თვეში ერთხელ საზღვრის გადაკვეთა და ისე დაბრუნება - თუმცა, გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ეს არაა სერიოზული პრობლემა. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ ოსეთში ყოველდღიურად იზრდებოდა როგორც ავტომობილების რაოდენობა ცხინვალის ნომრებით, ისე ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს უკმაყოფილება დაკარგული შემოსავლების გამო.  
როგორც ჩანს, მეტაჟეებმა გადაწყვიტეს ამ ვითარების მოგვარება და მიიღეს უცხოურ ნომრებიანი ავტომობილების დროებით შემოყვანის ახალი წე-

სი - ყველა ავტომფლობელი ე.წ. ცხინვალის ნომრებით, რომელსაც გააჩნია რუსეთის მოქალაქეობა და რუსული ჩანერა, გამოცხადდა კანონდამრღვევად - ცხინვალიდან ვლადიკავკაზში გადაადგილებისას მათ უნევთ სპეციალური საბაჟო ტარიფის გადახდა, რომელიც თითქმის უტოლდება განბაჟებას.  
სამხრეთ ოსეთის საბაჟოს ყოფილი იურისტის თემურ კოკოი-თის თქმით, ეს ქმედებები უკანონოა, რადგანაც ევრაზიული კავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს არა ჩანერას, არამედ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს - მაგალითად, თუ რუსეთის მოქალაქე მუდმივად ცხოვრობს უცხოეთში, ის ალიარებულია, როგორც უცხოელი.  
ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს კამპანიამ ძირითადად დაზარალა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები, რომლებიც ჩანერები არიან რუსეთში, ძირითადად, ვლადიკავკაზში - მათ მოუწიათ რუსეთიდან ამოწერა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა - სულ ტყუილად.  
გასულ კვირას ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟომ დაადგინა ახალი მიდგომა აღნიშნული კატეგორიის ავტომფლობელები - სადმი - რუსეთში უცხოურ ნომრებიანი ავტომობილის ლეგალური შემოყვანა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თვეში 20 დღე ცხოვრობს „სამხრეთ ოსეთში“.  
ეს დაკავშირებულია 1 აგვისტოს ძალაში შესულ რუსულ ოსურ შეთანხმებასთან, რომელ-



მაც გააუქმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების რუსეთში ყოფნის კონკრეტული ვადები.  
„საინფორმაციო ბარათები გაუქმდა და „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეებს შეუძლიათ რუსეთში ყოფნა უვადოდ. ამიტომ, მეტაჟეებს უკვე არ აინტერესებთ, რამდენი ხანი აპირებთ კონკრეტული ადამიანი რუსეთში გაჩერებას. ისინი ხელმძღვანელობენ თავიანთი მონაცემთა ბაზით. თუმცა ეს მონაცემები შეზღუდულია, მათი მეშვეობით ვერ დაადგენ - დარჩა ადამიანი ვლადიკავკაზში, თუ წავიდა სადმე სხვაგან. დღეს მეტაჟეები უყურებენ არა ჩანერას, არამედ საზღვრის გა-

დაკვეთის წინა შემთხვევებს და ამის საფუძველზე ადგენენ კონკრეტული ავტომობილის შემოშვების ვადებს,“ - ამბობს თემურ კოკოიტი.  
ამ წესებმა გამოიწვია ავტომფლობელების დიდი უკმაყოფილება, რასაც მოჰყვა საპროტესტო აქციები. მათი თქმით, ახალი წესების გამო მათ უნევთ ჩრდილოეთ ოსეთში გამგზავრება საზოგადოებრივი ტრანსპორტით. სახელმწიფოს პასუხი მოკლე და მარტივია - ვლადიკავკაზში ჩატარებული აქციის მონაწილეებთან გამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟოს უფროსი მარატ კაბეკოვი, რომელმაც განაცხადა -  
„ჩვენ ვმოქმედებთ კანონის ფარგლებში“. ეს იყო მისი ერთადერთი საჯარო კომენტარი. მან შესთავაზა საპროტესტო აქციის მონაწილეებს მიღებაზე ჩანერა, რამაც გამოიწვია მძლოლთა აღშფოთება.  
კეპეკოვი შეხვდა მომიტინგეებს და დაჰპირდა საკითხის უფრო დეტალურ შესწავლას, თუმცა, მისი თქმით, ახალი წესები შესაძლოა, მცირედით გადაიხედოს, თუმცა, მთლიანობაში არ გაუქმდება. მისი თქმით, „დღევანდელი ვითარება არის დროებითი შემოყვანაზე კონტროლის გამკაცრების შედეგი“.  
EKHOKAVKAZA

## იტალიის პოლიციამ საქართველოს მოქალაქე დააკავა

იტალიის პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული საქართველოს მოქალაქე დააკავა. იტალიური მედიის ცნობით, 41 წლის კაცი, რომელზეც საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული, ბოლონიაში, მარკონის აეროპორტში, მას შემდეგ აიყვანეს, რაც მესაზღვრეებმა მისი იდენ-

ტიფიცირება შეძლეს. თ.ბ.-ზე ძებნა რუსეთის ფედერაციამ 2015 წლის აგვისტოში გამოაცხადა, სადაც მას 15 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი. ის ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლაციაში იმყოფება. სასამართლო მისი რუსეთში ექსტრადირების საკითხზე იმსჯელებს.









რასმუსენის ვარიანტის თაობაზე

როგორც აბაზანაში ვერ შევა აღაშიანი ნაწილ-ნაწილ!

მთელი გასული კვირა ერთი ალიაქოთი ჰქონდათ ატეხილი პრესასა თუ ტელევიზორებზე ჭიპოჭიპულ ნაცებსა და ვერონაცებს (ბოკერები, ბარამიძეები, კაპანაძეები, სამადაშვილები, ხოშტარიები და ა.შ.), თუ რაოდენ ბრძნული პროექტია ენ. „რასმუსენის პროექტი“: საქართველო ნატოში განევრდება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ოკუპირებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე“ მე-5 მუხლის აუთოქმედებლად, ხოლო მერე, როცა ქვეყანა სრულფასოვნად იგრძნობს თავს დაცულად, აფხაზეთზე და ოსეთზე აქეთ შემოგვეხვეწებინაო!

რაც მთავარია (არადა, სწორედ ესაა შავი ძაფით ნაკერი ბლენი!), ასეთი ვარიანტის საილუსტრაციოდ, გერმანიის მაგალითი მოჰყავთ: ჯერ ხომ დასავლეთ გერმანია მიიღეს ნატოში, ხოლო მერე, როცა ვარშავის ხელშეკრულებამაც ჭირი მოგჭამათ და სესერეკამაც, - ალმოსავლეთ გერმანიაცო!

გვაპატიოს მკითხველმა და „ბრემბის შკოლაა“?! მაშ, არადა, გერმანელს რა ჰქონდა გერმანელთან გასაყოფი?!

ნუ ვიბრმავებთ თვალებს და ნუ ვიცობთ ბამბას ყურებში! სწორედ მაგაზე ოცნებობს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, რომ ოკუპირებული რეგიონების გარეშე დავთანხმდეთ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში განევრებაზე, რათა უმაღლეს მოახდინოს მათი ანექსია!

ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს რაში სჭირდება ამდენი ტვინის ძყლეტა!!! როგორც, ვთქვით, აბაზანაში ვერ შევა ადამიანი ნაწილ-ნაწილ, ანუ ჯერ მხოლოდ ტანით, ხოლო მერე, თავითა და ფეხებით (ანდა, ქვევრიდან ვერ ამოვა ასეთი თანმიმდევრობით), ასევე ვერ შევა საქართველო ნატოში: ჯერ მხოლოდ არაოკუპირებული ტერიტორიით, ხოლო მერე, ოდესღაც, - ოკუპირებული რეგიონების ჩათვლით.

ერთი სიტყვით, „რასმუსენის ვარიანტის“ გასვლის ვარიანტი არაა!


გიზო ზარნაძე, მწერალი.

რომელი სჯობს?!

მერამდენედ ვეცადო, მერამდენედ ვსინჯო: „თათარი“ თუ „მონღოლი“ - აბა, რომელი სჯობს. ვილაც გადარეულმა მაუზერი იძრო, მაინც ეს დრო, მზაკვარი, რით სჯობია იმ დროს. კვლავ ახრჩოლდა „მასორკა“, თავის კუთვნილს ითხოვს, - ცივად წამოსხველა „მარლბოროს“ და „ვინსტონს“. ენით დაფუთარაობს, ბამბებს, - მაინც ფიქრობს, - ვინმე აბუთარაი

ბოლოს გამოიძრობს. მერამდენედ ვეცადო, მერამდენედ ვსინჯო, მილიონჯერ ნაქმრევემა, საცოდავმა ხვიომო. თვალი გამოითხარე, ახლა ვინლა გითხოვს. ყარალაჯ ელ მკითხავებს უნდა დაეკითხო!..

ვანო ჩხიკვაძე



სისუარი ზვიგენი... კვების ფესტივალზე

წითელ ნუსხაში შეტანილი იშვიათი ცისფერი ზვიგენი დიდ ბრიტანეთში კვების ფესტივალზე წარადგინეს, - წერს CNN. შემთხვევამ ბუნების დამცველთა აღფრთოვანება გამოიწვია.

როგორც გაირკვა, იშვიათი ზვიგენი შემთხვევით დაუჭერიათ და ის სწორედ ასე აღმოჩნდა კვების ფესტივალის შემადგენელ ნაწილად.

გადაშენების პირას მყოფი ზვიგენის საკვებად ქცევას სოციალურ ქსელშიც აღელვება მოჰყვა, სადაც ადამიანები კონტროლის გამგაცრებასა და მსგავსი შემთხვევებისგან თავის დაცვისთვის ეფექტური პრევენციის გატარებას ითხოვენ.



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევიზი თემაზე, დამო დამოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ძოგულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭიანი, როლანდ იოსელიანი, რევიზი არველაძე, გია მახარაძე, მარც ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გომინაშვილი ღრმა პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს - 19 სექტემბერს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელს, საბანკო სისტემის ელიტური საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელს, „საქართველოსა“ და „ვითიბი“ ბანკების ყოფილ თავკაცს, დიდებულ მამულიშვილსა და შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ

**ჯუმბარ გონაშვილს.**

**ტატუ - 94 წლის ასაკში**  
დიდი ბრიტანეთის ქალაქ კენილვორტში მცხოვრებმა 94 წლის ჰილდა უესტმა გარდაცვლილი მეუღლისა და შვილის სსოვნის პატივსაცემად ტატუ გაიკეთა. ამის შესახებ ინფორმაციას Daily Mail-ი ავრცელებს.



94 წლის ქალს, რომელსაც შვილიშვილები და შვილთაშვილის შვილები ჰყავს, ტატუს სალონამდე მისვლაში მოხუცთა თავშესაფრის თანამშრომლები დაეხმარნენ. როგორც ის ამბობს, ქმართან ერთად 70 წელი იცხოვრა და ის 5 წლის წინათ გარდაიცვალა. „ყოველთვის ვოცნებობდი ტატუზე, ვიფიქრე, რომ მეუღლისა და შვილის, ერნესტისა და დავიდის ინიციალები კარგი იქნებოდა“, - ამბობს 94 წლის ქალი.

**„ბეჭდების მბრძანებელს“ ახალ ზელანდიის გადართობა**

AMAZON STUDIOS-მა „ბეჭდების მბრძანებლის“ შესახებ სერიალის გადასაღებ ადგილად ახალი ზელანდია აირჩია. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

ეს სატელევიზიო შოუ ყველაზე ძვირადღირებულად ითვლება იმით შორის, რაც კი შექმნილა - 1 მილიარდი აშშ დოლარი.

როგორც BBC წერს, ახალ ზელანდიისთვის სერიალის გადაღებებისგან მიღებული შემოსავალი კიდევ უფრო წაახალისებს მის ეკონომიკას, ასევე მოსალოდნელია ტურისტების რაოდენობის ზრდაც.

Amazon Studios-მა „ბეჭდების მბრძანებლის“ შესახებ სატელევიზიო სერიების გადაღებაზე ნებართვა 2 წლის წინათ იყიდა. კომპანიის განცხადებით, ოკლენდში გადაღებები შემდეგი თვეების განმავლობაში დაიწყება. სერიალის სიუჟეტი ამ დრომდე ბურუსით არის მოცული.



სრ

**უხსოვარი პალატის კარსი:**  
აუშ დოლარი - 2.9626; ევრო - 3.2657;  
ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.6745;  
100 რუბლი - 4.6163; თურქული ლირა - 0.5171;  
ახარბაიჯანული მანათი - 1.7441;  
1000 სომხური დრამი - 6.2239.

**აქინდი 19 სექტემბრისთვის**

აპონაპალიტი სპარტიველი:				
ბარი -	ლამ	+10,	ღვ	+32
მთიანი რაიონები -	ლამ	+6,	ღვ	+27
დასავლეთი სპარტიველი:				
ბარი -	ლამ	+14,	ღვ	+28
მთიანი რაიონები -	ლამ	+8,	ღვ	+26
თბილისი:	ლამ	+12,	ღვ	+31

**დაპირიკაპო, მოგვწერეთ:**  
ტელ: 296-72-86,  
599-79-76-79, 568-82-09-84  
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
და sakresp@top.ge

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**

ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5  
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი  
**სპარტაკ ძოგულია**  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიაშვილი**  
599 53-76-16;  
**ალეკო ასლანიშვილი**  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
514 33-33-24

**გამომცემლობა:**  
შპს „ახალი საუკუნე“ -  
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 53-76-16; 599 36-00-35  
შპს „თანამდგომარეობა“-  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა  
**„კოლორ პრესი“**  
რკინიგზის ჩიხი №20  
uac(უაკ)070.4(479.22)  
ს-323  
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!  
რედაქციის მიერ შუამთავრობით მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“**  
**შენი გაზეთია, აუსილვლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**